

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„14“ „07“ 2014 წელი

ეგზ. № 1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნო საქმიანობის შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში *№ 13/00*

01.01.2012-01.01.2014

სარჩევი	
შესავალი	3
აუდიტის ძირითადი მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები	9
შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები:.....	9
<i>გარე განათების მოწყობის სამუშაოები</i>	9
<i>გზების რეაბილიტაცია -რეკონსტრუქციის სამუშაოები</i>	11
<i>შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა</i>	12
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესყიდვა	13
დასაგეგმი წლისათვის გამოცხადებული ტენდერები	15
არასათანადოდ დასაბუთებული ხარჯები, დაურიცხავი და ამოუღებელი ჯარიმები.....	16
<i>არასწორად დარიცხული ტრანსპორტის ხარჯი</i>	16
<i>სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები</i>	16
<i>მიმწოდებლებზე დაურიცხავი და ამოუღებელი ჯარიმები</i>	19
მუნიციპალიტეტის მიერ ქონების მართვა, განკარგვა და აღრიცხვა.....	21
<i>გადაუხდელი საიჯარო გადასახადი</i>	21
<i>მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით აღებული ქონება</i>	21
<i>სოფელ დაბა კულაშში სპორტული დარბაზის დემონტაჟი</i>	23
<i>ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ორგანიზაციები</i>	24
გაცემული სოციალური დახმარებები.....	24
ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების დაფუძნება და საქმიანობა.....	26
<i>ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ა(ა)იპ-ები და შპს-ები</i>	26
<i>შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობა“</i>	27
<i>ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“</i>	28
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების პარაგრაფი	30
<i>ბალანსის საცნობარო მუხლების ნაშთები</i>	30
<i>სახელმწიფო უწყებაზე გაწეული ხარჯები (პოლიციის ხარჯები)</i>	32
<i>ექსპერტის შეფასების გარეშე შეძენილი ქონება</i>	33
<i>შესრულებული სამუშაოები და ამოუღებელი ჯარიმა</i>	33
<i>ა(ა)იპ „სახლი თანადგომა“</i>	34
<i>ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბიდან“ გაცემული 2 ცხენი</i>	35
<i>კერძო აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული აუდიტი</i>	35
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	36
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	36
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	36

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

- ✓ დასკვნის გაცემა 2012-2013 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- ✓ მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და

აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ერთი ქალაქს, ერთ დაბას, 8 თემსა და 5 სოფელს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 36.4 ათას ჰა ტერიტორიას. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 60.3 ათასს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. სამტრედია.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს

¹ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, http://geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo.

ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 23 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია ასევე 15 შპს.

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად სამტრედიის თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებს და სხვა შემოსულობებს. მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს შემდეგ ტრანსფერებს:

- საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად – გათანაბრებით ტრანსფერს;
- დელეგირებულ უფლებამოსილებათა დასაფინანსებლად – მიზნობრივ ტრანსფერს;
- ფინანსური დახმარების სახით – სპეციალურ ტრანსფერს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობები კლების ტენდენციით ხასიათდება. 2012-2013 წლებში მან შეადგინა 23 807.9 ათასი ლარი. მათ შორის, 2012 წელს შემოსულობების სახით


მიღებულია 12 259.6 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 11 548.3 ათასი ლარი. აქედან, შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
შემოსავლები	12 124.8	11 503.1	23 627.9
გადასახადები	1 581.7	1 428.0	3 009.7
გრანტები	9 582.2	8 794.7	18 376.9
სხვა შემოსავლები	960.9	1 280.4	2 241.3
არაფინანსური აქტივების კლება	134.8	45.2	180.0

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა მიღებული ტრანსფერები. 2012 წელს მან შეადგინა 9582.2 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 8794.7 ათასი. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის შემოსულობების 77% მიღებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა ტრანსფერის სახით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებსა და ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსულობებს შორის თანაფარდობა - 2012-2013 წლები (ფაქტობრივი შესრულება)



სამტრედიის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე სულ მიღებული აქვს 9442.4 ათასი ლარი, აქედან: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან - 1194.6 ათასი ლარი; საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - 16.0 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 6630.6 ათასი ლარი. მიღებული თანხებით მუნიციპალიტეტში განხორციელებულია გზის რეაბილიტაციის, ქალაქის გარე განათების მოწყობის სამუშაოები და სხვა პროექტები, აგრეთვე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე“ მიმართულია 1444.8 ათასი ლარი, ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ - 69.2 ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა: 2012 წელს - 13 004.7 ათასი ლარი; 2013 წელს - 11 373.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები შეადგენდა: 2012 წლის 1 იანვრისათვის - 1013.5 ათას ლარს; 2013 წლის 1 იანვრისათვის - 268.4 ათას ლარს; 2014 წლის 1 იანვრისათვის - 443.1 ათას ლარს.


ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
ხარჯები	7 779.9	7 850.8	15 630.7
შრომის ანაზღაურება	1 675.6	2 408.3	4 083.9
საქონელი და მომსახურება	1 570.2	1 472.4	3 042.6
სუბსიდიები	2 582.4	3 367.8	5 950.2
გრანტები	1 330.0	0.0	1 330.0
სოც. უზრუნველყოფა	6 21.7	602.1	1223.8
სხვა ხარჯები	0.0	0.2	0.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 224.8	3 522.8	8 747.6

2012-2013 წლებში ბიუჯეტების დანახარჯების დინამიკა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ასეთია:

(ათასი ლარი)



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და შეადგენს ბიუჯეტის 25%-ს. აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობა. ასევე ბიუჯეტის 25% გამოყენებულ იქნა ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც მოიცავს გზების რეაბილიტაციას, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ და სხვა სამუშაოებს. საბინაო კომუნალური მეურნეობისა და დასვენება-კულტურა-რელიგიის დაფინანსებას მოხმარდა ბიუჯეტის 32%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა გარემოს დაცვა - 2%, თავდაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება - თითოეული დაფინანსდა ბიუჯეტის 1%-ის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამისა და ღონისძიებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა 27 ტენდერის (ელტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი), 55 გამარტივებული ელტენდერისა და 344 გამარტივებული შესყიდვის გზით.

2012-2013 წლებში განხორციელებული შესყიდვები (სახელშეკრულებო ღირებულებით)

(ათას ლარი)

	გამარტივებული შესყიდვა		გამარტ.ელ-ტენდერი		ელტენდერი		კონსოლიდ. ტენდერი		კონკურსი		სულ	
	რაოდენ. თანხა		რაოდენ. თანხა		რაოდენ. თანხა		რაოდენ. თანხა		რაოდენ. თანხა		რაოდენ. თანხა	
2012	191	4001.7	29	448.7	13	1735.0	2	172.2	4	54.8	239	6412.6
2013	154	979.3	26	326.3	6	3095.5	3	94.1	0	0	189	4495
სულ	345	4981	55	980.9	19	4830.3	5	266.3	4	54.8	428	10908

2012-2013 წლებში გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული შესყიდვები ძირითადად მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან („სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან) მიღებულ სახსრებზე.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები:

გარე განათების მოწყობის სამუშაოები


მუნიციპალიტეტმა ქ. სამტრედიაში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2012 წლის 27 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება² შპს „სინათლის ქალაქთან“, ღირებულებით - 708.7 ათასი ლარი³. იმავე დღეს ამ სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით ხელშეკრულება⁴ გაფორმდა შპს „არქიტექტორთან“. საპროექტო ორგანიზაციას აუნაზღაურდა 15.3 ათასი ლარი.

გარე განათების მოწყობის პროცესი

² №137¹

³ 2012 წლის 27 ივლისს მთავრობის №1453 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის თვითმმართველ ერთეულს გამოეყო თანხა სხვადასხვა სამუშაოს ჩასატარებლად, მათ შორის, გარე განათების მოსაწყობად.

⁴ ხელშეკრულება №136¹ (27.07.2012) - სახელშეკრულებო თანხაა 25.4 ათასი ლარი, მათ შორის, გარე განათების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გათვალისწინებული იყო 15.3 ათასი ლარი.



სავარაუდოდ, გარე განათების მოწყობისას მუნიციპალიტეტს არ უსარგებლია შპს „არქიტექტორის“ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით. აღსანიშნავია, რომ ვერც მუნიციპალიტეტი და ვერც სამუშაოთა მიმწოდებელი აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვას ვერ გამოიყენებდა:

- **სამუშაოების მოცულობისა და სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრისას** - რადგან ხარჯთაღრიცხვა მოგვიანებით - 3 ოქტომბერს იქნა წარმოდგენილი (ამ დროისთვის შპს „სინათლის ქალაქთან“ ხელშეკრულება უკვე გაფორმებული იყო); ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა კი დადგინდა მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისიისა და მოწვეული სპეციალისტის ავთანდილ ნაცვლიშვილის მიერ შედგენილი დეფექტური აქტის მეშვეობით.
- **სამუშაოთა შესრულებისას** - შპს „არქიტექტორმა“ მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა, რომელსაც ზოგადი ხასიათი ჰქონდა და არ მოიცავდა ინფორმაციას კონკრეტული ქუჩების მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.
- **სამუშაოთა ანაზღაურებისას** - გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება შპს „სინათლის ქალაქთან“ გაფორმდა 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების მიხედვით⁵ ანაზღაურება უნდა განხორციელებულიყო ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.

შესაბამისად, არასაკმარისად არის დასაბუთებული, რას ისახავდა მიზნად მუნიციპალიტეტი 15.3 ათასი ლარის ღირებულების ხარჯთაღრიცხვის შეძენისას.

⁵ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1463.


გზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები

2012 წლის 14 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება⁶ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან, შპს „დაგი“-სთან, ღირებულებით 749.3 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ოთხი ქუჩის - ბარათაშვილის, რობაქიძის, ეგრისისა და თევზაძის ქუჩების რეაბილიტაციას.

ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს არ ჰქონდა ქვეკონტრაქტორის მომსახურებით სარგებლობის უფლება. მიუხედავად ამისა, მან შპს „ლატექსთან“ გააფორმა ხელშეკრულება. ქვეკონტრაქტორმა განახორციელა გზის რეაბილიტაცია სამ ქუჩაზე (ბარათაშვილის, ეგრისისა და ლაშა თევზაძის ქუჩები) და შეასრულა 412.3 ათასი ლარის სამუშაო (მთლიანი სამუშაოების 55%).

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შპს „დაგი“-მა სამუშაოების შესრულება დაიწყო წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებამდე. მასთან ხელშეკრულება გაფორმდა 14 აგვისტოს, მაშინ როდესაც: ასფალტბეტონის გამოცდისათვის ბარათაშვილის ქუჩაზე ნიმუშების აღება დაფიქსირებულია 8 და 10 აგვისტოს; ფარული სამუშაოების აქტი ეგრისის ქუჩაზე დათარიღებულია - 3 აგვისტოთი, ბარათაშვილის ქუჩაზე - 7 აგვისტოთი.

შპს „დაგი“-ისგან გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის პროცესი



გზის სამუშაოების შესყიდვისას, ქვეკონტრაქტორის აყვანასთან დაკავშირებით, ხარვეზი დაფიქსირდა მუნიციპალიტეტთან გაფორმებული კიდევ ერთი ხელშეკრულების მიხედვით. კერძოდ, 2013 წელს ტენდერში გაიმარჯვა შპს „ლატექსმა“, მასთან იმავე წლის 5 სექტემბერს გაფორმდა №120 ხელშეკრულება, ღირებულებით 2635.0 ათასი ლარი. მიმწოდებელმა ქვეკონტრაქტორად აიყვანა შპს „დაგი“, რომელმაც შეასრულა 889.7 ათასი ლარის სამუშაო (მთლიანი სამუშაოების

⁶ №162.

34%). ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმწოდებელს ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში უნდა ეცნობებინა მუნიციპალიტეტისთვის, თუმცა ეს არ გაუკეთებია. აღნიშნული მოქმედებით დაირღვა მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნები.

შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა

მუნიციპალიტეტის მიერ მთელი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება შეძენილია ი/მ „ავთანდილ ნაცვლიშვილისგან“, აღნიშნულ მომსახურებაზე 2012-2013 წლებში ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 14 ხელშეკრულება და ანაზღაურებულია 119.1 ათასი ლარი.

ხელშეკრულებების მიხედვით, ზედამხედველს უფლება არ ჰქონდა მუნიციპალიტეტთან წერილობითი შეთანხმების გარეშე თავისი ვალდებულებები გადაეცა მესამე პირისთვის. ასეთი წერილობითი შეთანხმება მუნიციპალიტეტს არ წარმოუდგენია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ი/მ „ავთანდილ ნაცვლიშვილი“ სავარაუდოდ ზედამხედველობას ახორციელებდა სხვა პირების დახმარების გარეშე. მას შეფასებული აქვს სხვადასხვა სახის შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მოცულობები, მათ შორის: გზების დაგების, გაზიფიკაციის მოწყობის, თეატრის შენობისა და სცენის რეაბილიტაციის, სცენის მხატვრული განათების, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესრულებული და სხვა სამუშაოები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოითხოვს საკმაოდ დიდ და მრავალმხრივ გამოცდილებასა და შესაბამის ცოდნას. აგრეთვე დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში (აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილას („სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის“ - სოფლებში) როგორც დიდი რაოდენობის, ისე დიდი მოცულობის სამუშაოების სისტემატურ ზედამხედველობას, რაც ტექნიკური თვალსაზრისით ერთი პიროვნების მიერ თითქმის შეუძლებელია.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ტერიტორიული კეთილმოწყობის სამსახური. დებულებით სამსახურს ევალებოდა მუნიციპალიტეტში

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი. თუ კი ეს სამსახური განახორციელებდა სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტი შეძლებდა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვას.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესყიდვა

გაზსადენის მშენებლობის სამუშაოები

მუნიციპალიტეტისათვის 2012 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხიდან დაიგეგმა სხვადასხვა სოფელში გაზიფიცირების სამუშაოების ჩატარება (6 თემის 11 სოფელი). მუნიციპალიტეტმა გაზსადენის მშენებლობაზე ხელშეკრულება გაუფორმა სს „საქორგაზს“. სახელშეკრულებო ღირებულებად განისაზღვრა 260.4 ათასი ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აღნიშნული 11 სოფლის გარდა, გაზსადენის მშენებლობა დამატებით დაიგეგმა ეწერისა და ნაბაკების თემის 7 სოფელში. სამუშაოების შესასრულებლად, პროექტის გარეშე, შპს „პოლიმერ კონტეინერისაგან“ შეიძინეს 72.7 ათასი ლარის ღირებულების მაღალი გაზის წნევის პლასტმასის მილები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მილების შესყიდვის მიზანი იყო გაზიფიცირების სამუშაოების დაჩქარება, რადგან გაზიფიცირების მასშტაბურობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდებოდა მოსახლეობის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება⁷.

2012 წელს მოსახლეობის ძალისხმევითა და გამგეობის მხრიდან შესაბამისი ტექნიკის დახმარებით, დაგეგმილი 7 სოფლიდან მხოლოდ 4 სოფელში დამონტაჟდა მილსადენები. სულ შეძენილი მილებიდან გაზიფიცირების სამუშაოებზე გაიხაჯა 38.1 ათასი ლარის პლასტმასის მილი⁸, ხოლო დანარჩენი ირიცხება ნაშთის სახით. ნაშთად არსებული მილების გამოყენება მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებსა და არც მომდევნო პერიოდში არ განხორციელებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით გაზსადენისათვის მილების გამოყენების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ამჟამინდელი გაზის მიმწოდებელი კომპანია „სოკარი“ აღნიშნული მილების

⁷ აღნიშნულ პერიოდში ქალაქისა და სოფლების გაზიფიცირებას ახორციელებდა შპს „სამტრედიაგაზი“, რომელიც სამუშაოებს აწარმოებდა კომპანია „იტერას“ მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

⁸ შეძენილიდან 2.5 ათასი ლარის მილი გამოყენებულია წყალსადენის მოსაწყობად, ნაშთად ირეცხება 32.1 ათასი ლარის მილი.

გამოყენების წინააღმდეგია. როგორც განმარტებიდან ირკვევა, დღეის მდგომარეობით არც სს „საქორგაზის“ და არც მოსახლეობის მიერ გაყვანილი გაზსადენით მოსახლეობა არ სარგებლობს⁹.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის ერთ-ერთი კრიტერიუმია ის, რომ პროგრამით სარგებლობის საშუალება ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას. 2012 წელს გაზიფიცირების სამუშაოზე სულ გახარჯულია 318.5 ათასი ლარი¹⁰, მაგრამ ფაქტობრივად მოსახლეობა გაზით ვერ სარგებლობს. გარდა ამისა, გაზსადენის მშენებლობისთვის შესყიდული 32.1 ათასი ლარის ღირებულების მიღები გამოუყენებელია (დასაწყობებულია). ამდენად გაზიფიცირების ჩატარებული სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შეფასების ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს.

გზის მოხრეშვის სამუშაოები

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განახორციელა 403.8 ათასი ლარის ღირებულების გზის მოხრეშვის სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში შესყიდულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება და არ უნდა იყოს მიმართული მოკლევადიანი მოხმარებისათვის. მოხრეშვის სამუშაოები თავისი არსით ეს არის გზების მიმდინარე შეკეთება, რომელიც ხელს უწყობს გზის საწყისი პოტენციალის შენარჩუნებას, აუმჯობესებს მის სარგებლიანობას, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება არ ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი. მაგრამ რადგან მოსახლეობა ძირითად პრიორიტეტად მაინც ამ სამუშაოს ასახელებს, მიზანშეწონილია მისი დაგეგმვა გზის საფარის დამცავ სამუშაოებთან ერთად.

⁹ მიმდინარეობს იურდიული პროცედურები გაზსადენის საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებლად, რომლის შემდეგაც იგეგმება კანონმდებლობით დადგენილი წესით მათი კომპანია „სოკარზე“ გადაცემა.

¹⁰ მოცემული თანხა მოიცავს შპს „საქგაზპროექტი“-სთვის გადახდილი საპროექტო ხარჯთაღრიცხვის ღირებულებას 17,1 ათასი ლარი, შპს „საქორგაზი“ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას - 249,0 ათასი ლარი და გახარჯული პლასმასის მიღების ღირებულებას 38,1 ათასი ლარი, ი/მ „დავით ლომიძე“-ს მიერ შესრულებული ტრანშეას გაჭრის ღირებულებას 11,4 ათასი ლარი და ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯს 2,9 ათასი ლარი.

დასაგეგმი წლისათვის გამოცხადებული ტენდერები

2012 წლის სექტემბერში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დასაგეგმი წლის განმავლობაში სხვადასხვა სამუშაოების შესყიდვის მიზნით, კანონმდებლობის დარღვევით გამოაცხადა ტენდერები, კერძოდ:

2013 წლისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული ექვსი ელექტრონული ტენდერიდან - საკანცელარიო საქონლის, საწვავის, საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტის დაგების, საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე, წარმატებით დასრულდა სამი ტენდერი¹¹, გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 207.3 ათასი ლარი.

კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას შესყიდვების სააგენტოს უგზავნის არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. შესყიდვების წლიური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შესყიდვების წლიური გეგმის წარდგენის მომენტისათვის შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენილ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს¹².

ზემოთ აღნიშნული ტენდერები ისე გამოცხადდა, რომ არ იყო შედგენილი და შესაბამისად, სამტრედიის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღსანიშნავია, რომ ასეთი გეგმა ამ პერიოდისთვის ვერც იქნებოდა, რადგან ფინანსთა სამინისტრომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლები 2012 წლის 5 ოქტომბერს გადაუგზავნა. სწორედ ამ მაჩვენებლების საფუძველზე გამგეობამ ბიუჯეტის პირველი პროექტი წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა იმავე წლის ნოემბერში.

მუნიციპალიტეტის ინიციატივით საცხოვრებელი სახლების ფასადების შეკეთების სამუშაოების ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელ შპს „ვანმშენთან“

¹¹ SPA120023489; SPA120023385; SPA120023097;

¹² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პუნქტი 4.

დადებული ხელშეკრულება შეწყდა, რადგან 2013 წლის ბიუჯეტში აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად თანხები არ იქნა გათვალისწინებული.

არასათანადოდ დასაბუთებული ხარჯები, დაურიცხავი და ამოუღებელი ჯარიმები

არასწორად დარიცხული ტრანსპორტის ხარჯი

მუნიციპალიტეტის მიერ ზოგჯერ შესყიდვები განხორციელებულია შესასრულებელ სამუშაოთა ისეთი ხარჯთაღრიცხვებით, სადაც ტრანსპორტის ხარჯი განსაზღვრულია პროცენტულად. ამდენად, ასანაზღაურებელი ტრანსპორტირების ხარჯის დადგენა და გადახდა განხორციელდა გარკვეული ხარვეზებით. კერძოდ, ტრანსპორტირების ხარჯი ერიცხებოდა არა მხოლოდ მასალების ღირებულებას, არამედ ხელფასს ან სამუშაოთა მთლიან ღირებულებას, მათ შორის, გაუთვალისწინებელ და ზედნადებ ხარჯებს, გეგმურ მოგებას.

ზოგიერთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვაში მასალისა და ხელფასის ხარჯები ცალ-ცალკე გამოყოფილი არ არის (ნაჩვენებია ჯამი), ამდენად შეუძლებელია ხელფასზე დარიცხული ტრანსპორტის ხარჯის თანხის სიდიდის დადგენა.

სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 12 ივლისის ბრძანებით¹³ დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

¹³ №1-1/1463.

ზემოთ აღნიშნული ბრძანების მიხედვით, საერთო სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას, ზედნადები ხარჯების ოდენობა უნდა იყოს არა უმეტეს 10%, ხოლო გეგმური მოგება - არა უმეტეს 8%-ისა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2012 წლის 3 ივლისს სს „საქორგაზთან“ გაფორმდა №115 ხელშეკრულება, ღირებულებით 260.4 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები 249.0 ათასი ლარის. ხარჯთაღრიცხვის შედგენისას ზედნადები ხარჯები განისაზღვრა სამუშაოების მთლიანი ღირებულების 12%-ის, ხოლო გეგმური მოგება - 10%-ის ოდენობით, შესრულებული სამუშაოებიც ანაზღაურდა აღნიშნული დარიცხვების შესაბამისად. დაირღვა ზემოთ მოყვანილი ბრძანების მოთხოვნები. ბრძანებით განსაზღვრული ნორმების დაცვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი 8.9 ათასი ლარით ნაკლებ თანხას გადაიხდიდა. თუმცა საყურადღებოა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 3 ივლისს, ხოლო ბრძანება გამოიცა ამავე წლის 12 ივლისს და მისი მოქმედება გავრცელდა 2012 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ბრძანების მოთხოვნებს ვერ გაითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას, ხოლო ბრძანების მიღების შემდგომ მომწოდებელზე ხელშეკრულების პირობების შეცლის შესახებ შეტყობინება გაზავნილი არ არის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ივლისიდან სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა განხორციელებულია ისე, რომ აღნიშნული წესი გამოყენებული არ არის და მიმწოდებლებზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია წარმოდგენილი სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) საფუძველზე. არ არის მოთხოვნილი და მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯები და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები.

2012 წლის ივლისიდან 2013 წლის იანვრამდე გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულია 34 შემთხვევაში, თანხით 3243.6 ათასი ლარი. აუდიტის მიმდინარეობისას, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებისაგან მოთხოვნილ იქნა 2012 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 1 იანვრამდე გამარტივებული წესით შესყიდული სამუშაოების

ფაქტობრივი ხარჯები. სხვადასხვა მიზეზის გამო 5 მიმწოდებლისგან ვერ იქნა მიღებული დოკუმენტაცია¹⁴.

აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია და საბოლოო დასკვნების გაკეთების საფუძველს არ იძლევა:

- მასალების შეძენაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თარიღები არ ემთხვევა სამუშაოების შესრულების პერიოდს (სამუშაოების შესრულების შემდგომი პერიოდისა).
- მომწოდებელი გარდა გამარტივებული შესყიდვისა, ერთდროულად ახორციელებდა ტენდერით მოგებულ სხვა სამუშაოებს და არ არის გამოყოფილი და გამიჯნული გაწეული ხარჯები.
- ხელფასის გაცემის უწყისები დაუთარილებელია, ხოლო ხელფასის დარიცხვის უწყისები - მიმწოდებლის მიერ ხელმოუწერელი, ხელფასების დარიცხვის უწყისში შეყვანილია ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი (დირექტორი, მთ. ბუღალტერი, ინჟინერი).
- ტრანსპორტის ხარჯების გაწევის დასადასტურებლად წარმოდგენილია მძღოლების მიერ შეძენილი საწვავის ანაზღაურების უწყისი და არა საწვავის შეძენისა და ხარჯვის დოკუმენტაცია.
- წვრილმარცვლოვანი ბეტონის დამზადებაზე წარმოდგენილია კალკულაციები, რომელთა ფაქტობრივი ხარჯების გაწევის დოკუმენტები სრულყოფილი არ არის და ვერ დგინდება რეალურია თუ არა აღნიშნულ კალკულაციაში დაფიქსირებული ფასი და სხვ.

2013 წლის ბოლოს, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე მოთხოვნილია 2013 წელს გამარტივებული წესით შესყიდული შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 6 იანვრის №3 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელმაც შეამოწმა მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაითვალა ფაქტობრივი ხარჯი.

¹⁴ შპს „სინათლის ქალაქიდან“ დოკუმენტაცია ამოღებულია, შპს-ებს: „ეს-ეს ჰაუს დეკორი“ და „მეგასერვის ცენტრს“ მისამართის შეცვლის გამო წერილი ვერ ჩაბარდა, შპს-ებმა: „ბირთვმა“ და „ვივიმ“ კი დოკუმენტაცია არ წარმოადგინა.

მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ კომისიის მიერ გამოვლენილია ბიუჯეტიდან ზეტმეტად ანაზღაურებული თანხა - 11.8 ათასი ლარი, რაზედაც შედგენილია ოქმები და ბიუჯეტიდან ზედმეტად გაცემული თანხების დაბრუნებაზე მიმწოდებლებთან მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულია შეთანხმება, მიმდინარეობს თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

მომწოდებლების მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების¹⁵ მოთხოვნების შესაბამისად დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე ბიუჯეტიდან სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურების საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტეტური ორგანოს მიერ.

მიმწოდებლებზე დაურიცხავი და ამოუღებელი ჯარიმები

2012-2013 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები შპს „ალაზნთან“¹⁶ და შპს „4444“-თან¹⁷ ნაგვის კონტეინერების, ხოლო შპს „ნიუ-ემთან“¹⁸ ზამთარ-ზაფხულის კონდიციონერების მიწოდებაზე. აღნიშნულმა მიმწოდებლებმა ვერ შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, შპს „ნიუ-ემმა“ საერთოდ არ მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო „ალაზნისა“ და შპს „4444“-ის მიწოდებული საქონელი აღმოჩნდა უხარისხო და მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა მის მიღებაზე. სამივე შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო (ჯარიმა) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის. სულ პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ შეადგინა 15.7 ათასი ლარი¹⁹. მიმწოდებლებს წერილობით ეცნობათ აღნიშნულის შესახებ, თუმცა ბიუჯეტში შესაბამისი თანხა ჩარიცხული არ არის და არც შესაბამისი ზომები მიუღია მუნიციპალიტეტს თანხის ამოსაღებად²⁰.

სამუშაოთა შესრულების ვადაგადიცილებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს დარიცხვა. რამდენიმე შემთხვევაში

¹⁵ №1-1/1463.

¹⁶ ხელშეკრულება №30 (23.02.2012),

¹⁷ ხელშეკრულება №92 (31.05.2012).

¹⁸ ხელშეკრულება №73(12.06.2013).

¹⁹ მათ შორის დაერიცხა: შპს „ალაზნს“-10.1 ათასი ლარი; შპს „4444“-ს 4.6 ათასი ლარი; შპს „ნიუ-ემს“-1.0 ათასი ლარი.

²⁰ პასუხისმგებელი პირების ახსნა-განმარტება.

მუნიციპალიტეტის მიერ გარკვეული ხარვეზებით განხორციელდა აღნიშნულის დაანგარიშება:

- შპს „ეს-ეს ჰაუს დეკორი“ ასრულებდა კულტურის სახლში სცენისა და დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 30 ოქტომბერი. თუმცა შპს „ეს-ეს ჰაუს დეკორს“ გერმანელმა პარტნიორმა დროულად ვერ მოაწოდა საჭირო მასალები. აღნიშნულის გამო, მუნიციპალიტეტმა ხარჯთაღრიცხვის პირველი თავით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა გადაწია 2012 წლის 15 ნოემბრამდე. აღნიშნული თავი ითვალისწინებდა სცენის მხატვრული განათების მოწყობას. სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მასალის უქონლობა ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ეს-ეს ჰაუს დეკორს“ სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმიტომ, რომ ჯარიმა არ დარიცხვოდა. მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების ვადის არ გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხებოდა 5.0 ათასი ლარის ჯარიმა²¹.

მიუხედავად ვადის გადაწევისა, მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება ვერც ახალ ვადებში შეძლო. მხოლოდ 2012 წლის 3 დეკემბერს იქნა შემოტანილი 97.7 ათასი ლარის ღირებულების მასალები, ხოლო სამუშაოები დასრულდა და მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2012 წლის 31 დეკემბერს. 3 დეკემბრის შემდეგ პერიოდზე პირგასამტეხლოს გაანგარიშებისას, მუნიციპალიტეტმა დარიცხვა განახორციელა მხოლოდ მონტაჟის ღირებულებაზე, მასალების გამოკლებით. ასევე შეცდომა იქნა დაშვებული ხარჯთაღრიცხვის სხვა თავებზე პირგასამტეხლოს დათვლისას. საბოლოოდ, მიმწოდებელს დაერიცხა 4.4 ათასი ლარით ნაკლები პირგასამტეხლო.

სულ, ჯარიმის სახით აღურიცხავმა და ბიუჯეტის მიერ მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 25.1 ათასი ლარი.

²¹ შეუსრულებელი სამუშაო 111.0 ათას ლარი X15 დღეზე X 0.3 % = 5.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ ქონების მართვა, განკარგვა და აღრიცხვა

გადაუხდელი საიჯარო გადასახადი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში 14 მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულება მოქმედებდა. სულ მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში საიჯარო გადასახდელის სახით მობილიზებული უნდა ყოფილიყო 18.0 ათასი ლარი²². აღნიშნულ წლებში საიჯარო გადასახდელის სახით ბიუჯეტში სულ გადახდილია 16.1 ათასი ლარი, მათ შორის, 0.6 ათასი ლარი წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირას. 2013 წელს 14-დან 6 მოიჯარეს²³, რომელთაც იჯარით აღებული აქვთ გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში სხვადასხვა ფართობები, საიჯარო გადასახადი საერთოდ არ აქვს გადახდილი.

მოიჯარეების ნაწილს საიჯარო გადასახდელი გადახილი აქვთ არა ყოველთვიურად, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა, არამედ დაგვიანებით, სხვადასხვა პერიოდულობით წლის ბოლომდე. სულ 2012-2013 წლებში ბიუჯეტში გადახდილი არ არის 2.5 ათასი ლარის საიჯარო გადასახადი. მუნიციპალიტეტში შემუშავებული არ არის კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამოავლენს ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევებს ან/და მოახდენს მის პრევენციას, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ხელშეკრულებაში დამატებითი პირობების განსაზღვრას. მაგალითად, 2013 წელს მოიჯარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხოლოდ წლიური საიჯარო გადასახადი, ხოლო თანხის გადახდის პერიოდულობა და დაგვიანების შემთხვევები საჯარიმო სანქციაში გათვალისწინებული არ არის.

მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით აღებული ქონება

სამტრედიის მუნიციპალიტეტმა 2011 წლის 8 აპრილს ფიზიკურ პირთან - ოთარ შენგელიასთან გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა ერთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ ჯანელიძის №2-ში მდებარე 500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე არსებული 345 კვ.მ შენობა-

²² 2012 წელს მოქმედი 7 საიჯარო ხელშეკრულებიდან - 7,7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს მოქმედი 14 ხელშეკრულებიდან - 10,3 ათასი ლარი.

²³ ი/მ „ზურაბ დარსაველიძე“, ფ/პ „გელა ლორთქიფანიძე“, შპს „არქიტექტორი“, შპს „ფაქტორი“, ფ/პ „ვარუჟან არუთინიანი“, შპს „სამეტი“.

ნაგებობის საწყობის დანიშნულებით გამოყენებას. საიჯარო ქირად განისაზღვრა წლიურად 7.2 ათასი ლარი. 2011 წელს დაქირავებულ ფართობში დასაწყობდა 22 სახეობის სხვადასხვა დასახელების საქონელი (ფერადი ფილა, შუქნიშნის კომპლექტი, ნაგვის კონტეინერი, ნათურები, კაბელი და სხვ.). საიჯარო ხელშეკრულება ოთარ შენგელიასთან გაგრძელდა 2012-2013 წლებშიც. სულ ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 19.8 ათასი ლარის საიჯარო გადასახადი.

2011-2013 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დასაწყობებული ქონების ღირებულება შეფასებული არ არის, ქონებას არ ჰყავს მატერიალური პასუხიმგებელი პირი, აღრიცხული არ არის ბუღალტერიაში და შესაბამისად, არ უტარდება ინვენტარიზაცია. ამდენად, ვერ დგინდება რა ღირებულების ფასეულობები ინახება საწყობში და რამდენად მიზანშეწონილია მის შენახვაზე ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი.

გარდა ამისა, 2012-2013 წლებში ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“ ფიზიკური პირის - ოთარ შენგელიასაგან იმავე ტერიტორიაზე იჯარით აღებული აქვს 63.8 კვ.მ ფართობის მქონე შენობა-ნაგებობა. საიჯარო გადასახდელი შეაგდენს წლიურ 7.2 ათას ლარს (წლიურად 1კვ.მ -112.8 ლარი). საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების მიზანია, რომ შენობა-ნაგებობა უმეთვალყურეოდ დაჩენილი პირუტყვის სადგომად იქნეს გამოყენებული. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეს გადახდილი აქვს 14.2 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტი პირუტყვის სადგომის დანიშნულების მიზნით იჯარით აღებულ ქონებაში იხდის წლიურად 1 კვ.მ-ში 112.8 ლარს - საიჯარო გადასახადს. როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის ანალიზით დადგინდა, მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით აღებულ შენობაზე (რომელიც მდებარეობს პერიფერიულ ზონაში), საიჯარო გადასახადი რამდენიმეჯერ აღემატება მის მიერ ცენტრალურ ზონაში მდებარე სხვადასხვა შენობა-ნაგებობის იჯარით გაცემიდან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს. მაგალითად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილი, რომელიც მდებარეობს რესპუბლიკის №6-ში (გამგეობის შენობა), ფართობები იჯარით აქვს გაცემული სხვადასხვა მოიჯარეებზე. იჯარით გაცემულ ქონებაზე გადასახადი 1 კვ.მ ფართობზე წლიურად შეადგენს 20 ლარიდან 65 ლარამდე. საიჯარო გადასახადი განსაზღვრულია

ადგილმდებარეობის (სართულის) მიხედვით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს იჯარით აქვს გაცემული რაზმაძის №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ნაწილი, რომელიც გამოიყენება საოფისე დანიშნულებით, წლიურად 1კვ.მ - 24 ლარი. საიჯარო გადასახადის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ექსპერტის მიერ შეფასებული ქონების ღირებულება და საკრებულოს დადგენილება წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ²⁴.

სოფელ დაბა კულაშში სპორტული დარბაზის დემონტაჟი

2012 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაიგეგმა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით გასხვისება. აღნიშნული ქონება წარმოადგენს 2-სართულიან შენობა-ნაგებობას, განაშენიანების ფართობით - 677კვ.მ²⁵, რომელიც მდებარეობს სოფელ დაბა კულაშში, რესპუბლიკის № 64-ში, 920 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. მუნიციპალიტეტმა ექსპერტიზის ჩასატარებლად მიმართა სსიპ - „ლევან სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“. გამომდინარე იქედან, რომ შენობა-ნაგებობა მნიშვნელოვნად ამორტიზებული და ექსპლოატაციისათვის უვარგისი იყო, ექსპერტიზა გულისხმობდა ქონების დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ვარგისი მასალების საბაზრო ღირებულების დადგენას. ექსპერტიზის დასკვნით²⁶, შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ღირებულება შეფასდა 20.6 ათასი ლარით, ხოლო ვარგისი მასალების საბაზრო ღირებულება - 22.3 ათასი ლარით.

2012 წლის სექტემბერში, მუნიციპალიტეტის ნებართვის გარეშე, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევით განხორციელდა შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობა-ნაგებობის დემონტაჟი განხორციელდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელი პირების მითითებით, იმ მოტივით, რომ ის ფარავდა გასახსნელად გამზადებულ რეაბილიტირებულ დარბაზს და ამახინჯებდა დარბაზის გარე ფასადს. დემონტაჟის დამკვეთი კონკრეტული პირების ვინაობა მუნიციპალიტეტისათვის უცნობია. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკითხის შესწავლა

²⁴ საკრებულოს დადგენილებით, წლიურად საიჯარო ქირად განსაზღვრულია ქონების ღირებულების 5%.

²⁵ 1-ლი სართული - 380 კვ.მ და მე-2 სართული - 297 კვ.მ.

²⁶ 2012 წლის 10 სექტემბერს ექსპერტიზიდან მიღებული წერილი № 5-027417-2012.

მიმდინარეობს საქართველოს შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) დასავლეთის რეგიონალური მთავარი სამმართველოს მიერ.

ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ორგანიზაციები

წარმოდგენილი ინფორმაციითა და პასუხისმგებელი პირების ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის 3 თემში (გომი, ჯიხაიში, იანეთი) არსებულ ადმინისტრაციულ შენობებში სს „ლიბერთი ბანკს“ დაკავებული აქვს 80 კვ.მ ფართობი. სს „ლიბერთი ბანკთან“ ხელშეკრულება ფართობის დაქირავებაზე გაფორმებული არ არის. ერთ თემში (საჯავახო) განთავსებულია ა(ა)იპ „კომპიუტერული ცოდნის ცენტრი“, დაკავებული აქვს 15 კვ.მ ფართობი, ხელშეკრულება ფართობის დაქირავებაზე გაფორმებული არ არის. 4 თემის (ოფეთი, იანეთი, მელაური, საჯავახო) ადმინისტრაციული შენობების 154 კვ.მ ფართობი უკავია შპს „საქართველოს ფოსტას“. აღნიშნული ფართობების შპს-ების საკუთრებაში არსებობის საკითხი გაურკვეველია (ვერ იქნა წარმოდგენილი ამ ფართობების საკუთრების დამადასტურებელი საბუთი საჯარო რეესტრიდან).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 8 ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებულია სხვადასხვა შპს-ები (საექიმო ამბულატორიები), რომელთაც დაკავებული აქვთ 360 კვ.მ-ის ფართობი. შპს-ები დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, რომლებიც მუნიციპალიტეტს გადმოეცა (100%-იანი წილი) 2012 წელს. აღნიშნული ფართობები შპს-ებზე რაიმე ფორმით გადაცემული არ არის.

ამდენად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში არსებული 609 კვ.მ ფართობში ისეა განლაგებული სხვადასხვა ორგანიზაციები, რომ მათზე ეს ფართობები რაიმე ფორმით გაცემული არ არის.

გაცემული სოციალური დახმარებები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, 2012-2013 წლებში გახარჯულია სულ 1 223.8 ათასი

ლარი²⁷, საიდანაც სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით გაცემულია 589.6 ათასი ლარი (მთლიანი თანხის - 36%). სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაცემულია ისე, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დადგენილი კრიტერიუმები, თუ რის მიხედვით უნდა მომხდარიყო ბენეფიციარების შერჩევა და აგრეთვე არ არის დაწესებული გასაცემი თანხის ზედა და ქვედა ზღვარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების²⁸ საფუძველზე შექმნილია კომისია, რომელსაც ევალოდა მოქალაქეთა განცხადებების შესწავლა და მათი სოციალური მდგომარეობის დადგენა. კომისიას მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინა გამგებლისათვის და დახმარებების გაცემა უნდა მომხდარიყო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ სოციალური დახმარების მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავდა მუნიციპალიტეტის გამგებელს, განცხადებები შესასწავლად და დახმარების გაცემაზე დასკვნის მოსამზადებლად ეგზავნებოდა სოციალური სამსახურის უფროსს. სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე (სადაც ზოგჯერ მითითებულია ბენეფიციარებზე გასაცემი თანხის ოდენობა), გამგებელი გამოსცემდა ბრძანებას დახმარების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციით არ ჩანს მოსახლეობის განცხადებები განიხილა თუ არა კომისიამ (არ არის წარმოდგენილი კომისიის სხდომის ოქმები). დახმარების თანხა ძირითადად გაიცემულია ნაღდი ანგარისწორებით, სალაროდან, გამგებლის ბრძანებისა და დახმარების მიმღების პირადობის ასლის საფუძველზე.

კომისიის წევრები თავიანთი ახსნა-განმარტებით ადასტურებენ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გაცხადებების განხილვის ფაქტებს, მაგრამ ვერ აკონკრეტებენ რა პერიოდულობით იკრიბებოდნენ, რამდენი გაცხადება განიხილეს, განხილულია თუ არა გამგეობაში შემოსული ყველა განცხადება. შემოსული განცხადებების მიხედვით,

²⁷ 2012 წელს - 621.7 ათასი ლარი და 2013 წელს 602.1 ათასი ლარი.

²⁸ 2008 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 947 და 2012 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება № 1442.

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტს დახმარების გაცემის თხოვნით მიმართა 3386 მოქალაქემ²⁹, საიდანაც 2041 დაკმაყოფილდა და 1345 არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დგინდება გამგეობაში შემოსული განცხადებებიდან კომისიამ განიხილა თუ არა ის განცხადებები, რომლებიც დაკმაყოფილდა და აგრეთვე რა მოტივით ან რამდენად ობიექტურად ეთქვათ მოქალაქეებს უარი დახმარებაზე.

ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების დაფუძნება და საქმიანობა

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ა(ა)იპ-ები და შპს-ები

2007-2012 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია 23 ა(ა)იპ და 2 შპს³⁰, რომელთა დაფინანსების ძირითად და ზოგჯერ ერთადერთ წყაროს წამოადგენს მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებია:

- 7 სახელოვნებო და სამუსიკო სკოლა (მათ შორის, 5 ქალაქისა და სოფლების სამუსიკო სკოლები);
- 6 სპორტული კლუბი და სკოლა (მათ შორის, საცხენოსნო, ფრენბურთის, ფეხბურთისა და ხელბურთის კლუბები);
- 6 ბიბლიოთეკა, საინფორმაციო და კულტურის ცენტრი;
- 2 სოციალური დანიშნულების სახლი (სახლი „თანადგომა“ და „სათნოების სახლი“).
- გარდა ამისა, ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ზაგაბაღების) გაერთიანება, საზოგადოების ჯანდაცვის ცენტრი, კომუნალური მეურნეობა და 2013 წელს მისგან გამოყოფილი „პანთეონების, სასაფლაოების, ტერიტორიის გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის გაერთიანება“.

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 24 378.3 ათასი ლარის გადასახდელებიდან 6180.9 ათასი ლარი³¹ მიმართულია ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების დაფინანსებაზე, მიღებული სუბსიდიის 90-95% მიმართულია შრომის ანაზღაურების

²⁹ 2012 წელს დაკმაყოფილდა - 1453, უარი ეთქვა - 735-ს, 2013 წელს დაკმაყოფილდა - 588, უარი ეთქვა - 610-ს.

³⁰ შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედია“ და შპს „სამტრედიის მაცნე“.

³¹ აქედან 2012 წელს 2980.7 ათასი ლარი, 2013 წელს კი 3500.2 ათასი ლარი.

ხარჯების დასაფარავად. ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულთა რიცხოვნობა აღნიშნულ წლებში შეადგენს, შესაბამისად, 876 და 956 კაცს. როგორც ა(ა)იპ-ის და შპს-ის წესდებების, საშტატო განრიგის, დაფინანსებისათვის წარმოდგენილი განაცხადებების, გაცემული სუბსიდიების ანალიზით დადგინდა, ზოგიერთ შემთხვევაში მათი ფუნქციები და მოვალეობები გადაიკვეთება.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ა(ა)იპ-ების უმეტესი ნაწილი ისეა დაფუძნებული, რომ მუნიციპალიტეტიდან არ აქვს გამოყოფილი რაიმე ქონება ან ფართობი. ისინი განლაგებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, აგრეთვე გამგეობის შენობაში ან დაქირავებული აქვთ ფართობები.

ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების წესდებების მიხედვით, მათი საქმიანობის კანონიერების, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა ევალება თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს³², რომელიც ფაქტობრივად, დღემდე მუნიციპალიტეტის მიერ რაიმე ფორმით არ განხორციელებულა. მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია, რომ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებს წარმოედგინათ ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ. კერძოდ: მიღებული სუბსიდიით რა შედეგები იქნა მიღწეული, როგორ განხორციელდა ესა თუ ის ღონისძიება ან თუ შესრულდა პროგრამა, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები და ა.შ.

შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობა“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტს 2011 წელს³³ გადაეცა შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის გაერთიანების“ სახელმწიფოს კუთვნილი 100%-იანი წილი³⁴. აღნიშნული შპს დაფუძნებულია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სამტრედიის სამმართველოს მიერ 2001 წელს, რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 194.6 ათას ლარს. 2012 წლის ბოლოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შპს-ის კაპიტალიდან ქონების ამოღების საკითხის შესწავლისა და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით,

³² არ არის დაკონკრეტებული რომელ ორგანოს ევალება.

³³ სამინისტროს 2011 წლის 19 აგვისტოს №1-1/1571 ბრძანება.

³⁴ გადმოცემული წილი საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია 2011 წლის 5 სექტემბერს.

შეიქმნა კომისია³⁵. კომისიას არ უფუნქციონირებია და არ ამოუღია შპს-დან ქონება. 2014 წლის 1 იანვრისთვის შპს-ის ბალანსზე ირიცხება 63.8 ათასი ლარის ძირითადი ქონება (ნარჩენი ღირებულებით).

შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის გაერთიანების“ საკუთრებაში არსებული ქონება დაქირავებული აქვს ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“, 2012-2013 წლებში შპს-მ იხარალა 12.3 ათასი ლარი³⁶, რადგან ის არ ფუნქციონირებს და მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა ა(ა)იპ-ზე ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი³⁷. ამ პერიოდში შპს-ში დირექტორსა და ბუღალტერზე გაცემულია ხელფასი, მაშინ როდესაც მათი საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქონების იჯარით გაცემით.

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2010 წლის ბოლოს³⁸ დაფუძნებულია ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“. წესდების მიხედვით, ა(ა)იპ-ის შექმნის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გარე განათების ქსელის მომსახურება, სანიაღვრე არხების გაწმენდა, ნაგავსაყრელის მოწყობა, უტილიზაცია და სხვ.

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ მიერ 2012 წელს მუნიციპალიტეტში სუბსიდია მოთხოვნილია გასაწევი მომსახურების მიხედვით, სადაც ზოგადად ნაჩვენებია გასაწევი მომსახურების მხოლოდ ზოგიერთი პარამეტრი³⁹, ამასთან, არ არის მითითებული თუ რა სამუშაოები უნდა შეესრულებინა, რა პერიოდულობით, რა მოცულობით. არც ხელშეკრულებით ან რაიმე ფორმითაა მიცემული დავალება კონკრეტული სამუშაოს შესრულებაზე.

ანალოგიური მდგომარეობაა 2013 წელს, ა(ა)იპ-ის მიერ სუბსიდია ისეა ჩადებული, რომ შესასრულებელი სამუშაოები აღწერილია ზოგადად მოკლე პროგრამის

³⁵ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 19 ნოემბრის №249 და 3 დეკემბრის №259 ბრძანებები.

³⁶ 2012 წელს - 6.5 ათასი ლარი, 2013 წელს - 5.8 ათასი ლარი.

³⁷ 2012 წელს - 2.1 ათასი ლარი, 2013 წელს - 2.5 ათასი ლარი.

³⁸ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 10 დეკემბრის №102 განკარგულება.

³⁹ დასაგველი ფართობი, სანათების ოდენობა, არხების გაწმენდის შემდგომ წარმოქნილი გასატანი დანალექის რაოდენობა და სხვ.

სახით, დასაფინანსებელი ხარჯები კი წარმოდგენილია ხარჯების მუხლების მიხედვით, საიდანც ვერ დგინდება კონკრეტულ სამუშაოზე რა დაფინანსება იყო საჭირო.

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ მიერ მოთხოვნილი და 2012 წელს ბიუჯეტში ასახულია 426.6 ათასი ლარი სუბსიდია. ა(ა)იპ-მა 2013 წელს ბიუჯეტიდან მოითხოვა 570.0 ათასი ლარის სუბსიდია. სუბსიდიის მატების მიზეზად მოყვანილია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების ზრდა, ღამის განათების წერტილების დამატება⁴⁰ და ახალი შემენილი ტექნიკის მომსახურების ხარჯები⁴¹, აგრეთვე არ არის დასაბუთებული კონკრეტულად რამდენით ზრდის აღნიშნული გარემოებები მისაღებ სუბსიდიას.

სუბსიდიები წარმოადგენს⁴² საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის (ჩვენს შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის) მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამდენად, სუბსიდიის გაანგარიშება უნდა მოხდეს მისი მოთხოვნის დროს.

იმის გამო, რომ სუბსიდია განსაზღვრული არ იყო კონკრეტული დავალების შესასრულებლად, არ არის განხორციელებული კონტროლი ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული სუბსიდიით შესრულებული სამუშაოების მოცულობებზე და შესაბამისად, გახარჯულ თანხებზე. 2012-2013 წლებში ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ მიერ მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 932.2 ათასი ლარი⁴³.

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“ შესრულებული აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური საავტომობილო გზის დასუფთავების სამუშაოები, მაშინ როდესაც აღნიშნული გზა ეკუთვნის და მისი მოვლა ევალება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რაზეც ცხადდება შესაბამისი ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციით, ტექნიკური დავალების ერთ-ერთი პუნქტია საავტომობილო გზების შემოვლა, რომელიც მოიცავს გზის სავალი ნაწილისა და განთვისების ზოლის⁴⁴ გასუფთავებას ნაგვისა და სხვადასხვა საგნებისაგან.

⁴⁰ 1700-დან გაიზარდა 2469-მდე.

⁴¹ რომლის შემენა დაგეგმილი ჰქონდა მუნიციპალიტეტს.

⁴² საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 25 მარტის №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებების მიხედვით.

⁴³ 2012 წელს გაწეულია 419.4 ათასი ლარის, 2013 წელს კი - 512.8 ათასი ლარის ხარჯი.

⁴⁴ რომელიც შეადგენს საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიას.

გამარჯვებული ფირმების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს აღნიშნული სამუშაოს შესრულებას.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების“ მიერ 2012-2013 წლებში ცენტრალური საავტომობილო გზის დასუფთავების მიზნით გაწეული ხარჯი შეადგენს 37.5 ათას ლარს⁴⁵. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ ისეთი ტერიტორიის დასუფთავებაზეა ხარჯი გაწეული, რომლის მოვლა-პატრონობა ევალებოდა სახელმწიფოს.

მუნიციპალიტეტის მიერ 2010-2013 წლებში შეძენილია და ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვნის წესით გადაცემულია სპეციალიზებული სხვადასხვა ტექნიკა, ნაგვის კონტეინერები და შადრევანი, საერთო თანხით - 792.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის გაერთიანებიდან“ დაქირავებული აქვს 5 ერთეული სპეციალიზებული მანქანა და საოფისე ფართობი, რომლებშიც 2012-2013 წლებში გადახდილია ქირა - 4.6 ათასი ლარი. აქედან, 2013 წელს გაწეული ხარჯი (2.5 ათასი ლარი) თავიდან იქნებოდა აცილებული, თუ შესრულდებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოთ აღნიშნული ბრძანება შპს „სამტრედიის საქალაქო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის გაერთიანების“ კაპიტალიდან ქონების ამოღების შესახებ და ეს ქონება შემდგომ გადაეცემოდა ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანებას“.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების პარაგრაფი

ბალანსის საცნობარო მუხლების ნაშთები

სამტრედიის მუნიციპალიტეტს 2012-2013 წლებში სხვადასხვა ორგანიზაციიდან გადმოცემული აქვს 53.9 ათასი ლარის სხვადასახვა სახის ქონება⁴⁶. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღებული შემოსავალში - მატერიალური მარაგების შესაბამის ანგარიშებზე, იგი აღრიცხულია საცნობარო მუხლში, მაგრამ არსებული

⁴⁵ 2012 წელს გაწეულია 18.7 ათასი ლარის, 2013 წელს კი - 18.8 ათასი ლარის ხარჯი.

⁴⁶ ცემენტი, საწვავი, სამშენებლო მასალა, ტანსაცმელი, ჰიგიენური საშუალებები და სხვ.

ნაშთები არ არის ნაჩვენები 2012 და 2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში. მიღებული მატერიალური მარაგებიდან გახარჯულად ნაჩვენებია 16.7 ათასი ლარის ქონება.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ნაშთებში⁴⁷ ირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტზე 2012 წლის ოქტომბერში იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან გადაცემული, სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე დასარიგებელი, 47 დასახელების ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები, ღირებულებით - 35.4 ათასი ლარი. მიღებული ქონების განაწილება გამგეობის 2012 წლის 19 დეკემბრის №1529 ბრძანებით დაევალა სოციალური სფეროს სამსახურის უფროსს და ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წამყვან სპეციალისტს, ხოლო ბრძანებაზე კონტროლო გამგებლის მოადგილეს. მათ მიერ წარმოდგენილ იქნა ტანსაცმლისა და ჰიგიენური საშუალებების გაცემაზე შედგენილი აქტები, რომელსაც მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელს აწერს გამგებლის მოადგილე, სოციალური სამსახურის უფროსი და წამყვანი სპეციალისტი. აქტებს ხელს აწერენ აგრეთვე დახმარების მიმღები პირები.

ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები 2013 წელს იანვარ-აგვისტოში გაცემულია ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებზე, დევნილებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე, საბავშვო სახლსა და სკოლების მოსწავლეებზე. სკოლების მიერ წარმოდგენილია სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა სიები, რომელთა საფუძველზედაც გაცემულია დახმარება. სოფლის სკოლების დირექტორების მიერ დახმარების მიღებაზე ხელი მოწერილი არ იყო, თუმცა აუდიტის მიმდინარეობისას მათ მიერ წარმოდგენილ იქნა ახსნა-განმარტებები, რითაც დაადასტურეს დახმარების მიღება - გაცემის ფაქტები.

კომისიის წევრების განმარტებით ირკვევა, რომ სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ტანსაცმელი და ჰიგიენური საშუალებები არ იყო სრულად დაკომპლექტებული, არეული იყო ერთმანეთში. საქონლის გაცემაზე შედგენილ აქტებში მითითებული არ არის ფასი, ზოგჯერ დამახასიათებელი ნიშანი და სხვ. სულ გაცემულია 34.2 ათასი ლარის ღირებულების საქონელი (რომლის ფასის დაზუსტება შესაძლებელი გახდა)⁴⁸, კომისიის მიერ ჩამოწერილია უვარგისი 0.6 ათასი ლარის

⁴⁷ ნაშთი შეადგენს 37.2 ათას ლარს (53.9 – 16.7).

⁴⁸ ზოგიერთი საქონელი გაცემულია უფრო მეტი, ვიდრე ერიცხებოდათ და პირიქით.

საქონელი, გარდა ამისა, გაცემულია 5 დასახელების 58 ცალი სხვადასხვა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომლის იდენტიფიცირება (ფასის დადგენა) ვერ მოხერხდა.

ამდენად, მუნიციპალიტეტის საცნობარო მუხლების ნაშთი არარეალურია, მასში ირიცხება 35.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი საქონელი, რომელიც გაცემულია და ფიზიკურად მუნიციპალიტეტს აღარ გააჩნია.

სახელმწიფო უწყებაზე გაწეული ხარჯები (პოლიციის ხარჯები)

2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების“ მუხლით გამოყოფილმა და პოლიციაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 126.7 ათასი ლარი, აქედან: კომუნალურმა ხარჯებმა (ელ.ენერგია, გაზი, კავშირგაბმულობა) - 112.7 ათასი ლარი; პოლიციის წყალსადენის დაერთების ღირებულებამ - 8.7 ათასი ლარი, საოფისე ინვენტარისა და გაზის მრიცხველის შეძენაზე გაწეულია 5.2 ათასი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პოლიციის შენობის ენერგოსისტემაზე დაერთებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 41.2 ათასი ლარი, რომელიც აღებულია შემოსავალში - ძირითად აქტივებში⁴⁹. აღნიშნული ხარჯი მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია „გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის მუხლიდან“⁵⁰ („არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით), რაც არასწორია, რადგან პოლიცია არ არის გარე განათების ობიექტი და პოლიციაზე გაწეული ხარჯები მიზანშეწონილი იყო გაცემულიყო „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების“ მუხლიდან, საიდანაც ფინანსდება პოლიცია. ამდენად, მუნიციპალიტეტს ძირითად საშუალებებში ერიცხება ისეთი ქონება, რომელიც გადაცემული უნდა იქნეს სახელმწიფოსათვის (პოლიციისათვის).

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 30 აგვისტოს, საქართველოს შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტს თხოვნების ფორმით გადაეცა ორი მსუბუქი ავტომანქანა⁵¹ პირვანდელი საბალანსო ღირებულებით - 55.0 ათასი ლარი; გარდა ამისა, 2009-2012 წლებში საქართველოს შსს-ს სხვადასხვა სამსახურებზე⁵² თხოვნების ფორმით

⁴⁹ ბალანსზე-საბუღალტრო ანგარიში №2118 - „გაყვანილობის სისტემები“.

⁵⁰ ორგანიზაციული კოდი 05 14.

⁵¹ „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო 2.7“, პირვანდელი ღირებულებით 20.0 ათასი ლარის, შეძენილი 2009 წელს; „ტოიოტა-ფორტუნერი“, პირვანდელი ღირებულებით 33.0 ათასი ლარის- შეძენილი 2012 წელს.

⁵² კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი და შსს-ს სამტრედიის რაიონული სამმართველო.

გადაცემულია 2 ავტომანქანა, პირვანდელი საბალანსო ღირებულებით - 76.2 ათასი ლარი, ორი „ნოუთბუქი“ - 1.8 ათასი ლარის ღირებულების. თხოვნების წესით პოლიციაზე სულ გადაცემულია ქონება, პირვანდელი ღირებულებით - 131.1 ათასი ლარი, რომელიც ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

ექსპერტის შეფასების გარეშე შეძენილი ქონება

2012 წლის 27 ივლისს, საქართველოს მთავრობის №1453 განკარგულებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1310 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტს აღნიშნული თანხიდან 60 ათასი ლარით განსაზღვრული ჰქონდა ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ძიუდოისტთა წრისათვის საიჭიდაო დარბაზის შესყიდვა.

მუნიციპალიტეტმა 2012 წლის 20 სექტემბერს სპორტული დარბაზისათვის საჭირო ფართობი 60 ათას ლარად შეიძინა ფიზიკური პირის - ლეილა კუპრაშვილისაგან, ქონება წარმოადგენს სამტრედიაში ჩხეიძის №1-ში მდებარე 498 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწას და მასზე არსებული 361 კვ.მ შენობა-ნაგებობას. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მოსაზრების გამოთქმა ქონების რეალური ღირებულებისა და გადახდილი ფასის შესაბამისობაზე. სასურველია, მუნიციპალიტეტმა ქონების შეძენის შემთხვევაში იქონიოს მეტი დასაბუთება და გადახდილი ფასის გონივრულობის დადგენის მიზნით, შეაფასოს ქონება.

შეუსრულებელი სამუშაოები და ამოუღებელი ჯარიმა

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2011 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებიდან⁵³ შპს „მონოლითმშენმა“ 2011-2012 წლებში ხელშეკრულებით⁵⁴ გათვალისწინებული 257.9 ათასი ლარისა, შეასრულა 139.0 ათასი ლარის სამუშაო. ამ პერიოდში მას აუნაზღაურდა

⁵³ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულებით ქალაქის კეთილმოწყობისათვის გამოეყო 360 ათასი ლარი.

⁵⁴ 2011 წლის 21 ივნისის №105 ხელშეკრულება (SPA 110013970).

114.5 ათასი ლარი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობათვის დაეკისრა ჯარიმა 20 ათასი ლარი.

2014 წლის 1 იანვრისათვის შპს „მონოლითმშენის“ მიმართ კრედიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 24.5 ათასი ლარი; შეთანხმება მასზე დაკისრებული სანქციის გადახდაზე მიღწეული არ არის და არც რაიმე სხვა ღონისძიებაა გატარებული. ამავდროულად, მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე რამდენიმე წლის განმავლობაში გამოუყენებლად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული სამუშაოების დაფინანსების მიზნით მიღებული 24.5 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „სახლი თანადგომა“

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2007 წელს დაფუძნებულია ა(ა)იპ „სახლი თანადგომა“, რომლის მიზანს წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული სოციალური პროგრამების განხორციელება“. 2012-2013 წლებში სამტრედიის ბიუჯეტში ა(ა)იპ-ის დაფინანსება გამოყოფილია შემდეგ სოციალურ პროგრამებზე: მარტოხელებისა და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო სასადილოთი სარგებლობა, მარტოხელა პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი პირებისათვის უფასო პურის გაცემა, ინვალიდ ბავშვებზე გადასაცემი ამანათების მომზადება და სხვ., სულ, 6 პროგრამა. წინასწარ განსაზღვრულია თითოეული პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ოდენობა და გამოყოფილია თანხა. აღნიშნული მიზნებისათვის 2012 წელს გახარჯულია 151.9 ათასი ლარის, 2013 წელს კი - 171.7 ათასი ლარის სუბსიდია.

სოციალური პროგრამების ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდა ა(ა)იპ „სახლი თანადგომის“ თანამშრომლებისა და სოციალური მონიტორინგის სპეციალისტების მიერ. ბენეფიციალთა სია შედგენილია და შესაბამისად, მასში ცვლილებები (ჩანაცვლებები) ხორციელდება ა(ა)იპ-ის მიერ. აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმები მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ არის შემუშავებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებული და არც ამ უფლების გადაცემაა ა(ა)იპ-ის წესდებით მისთვის განსაზღვრული. უფასო სასადილოს მენიუ დამტკიცებულია ა(ა)იპ-ის მიერ, რომელიც ასევე მუნიციპალიტეტთან (გამგეობასთან ან საკრებულოსთან) არ არის შეთანხმებული.

ა(ა)იპ „სახლი თანადგომის“ წესდების მიხედვით⁵⁵, მისი საქმიანობის მონიტორინგს უნდა ახორციელებდეს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანო, მაგრამ ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების შესრულებაზე მუნიციპალიტეტის მიერ მონიტორინგის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები პერიოდულად ახორციელებენ მონიტორინგს, თუმცა დოკუმენტაციას არ აწარმოებენ. 2012-2013 წლებში უფასო სასადილოს ბენეფიციალთა სიაში ჩანაცვლებულია 56 პირი, მაგრამ რეზერვში კვლავ ირიცხება 4.

ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბიდან“ გაცემული 2 ცხენი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2008 წელს დაფუძნებულია ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხენოსნო სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2011 წლის აგვისტოში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ ისე იქნა გაცემული (გაჩუქებული) ა(ა)იპ-ის კუთვნილი 2 ცხენი, რომ მათ გაცემაზე რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენიათ⁵⁶.

კერძო აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული აუდიტი

მუნიციპალიტეტში ჩატარებულია „2012 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება“⁵⁷. აუდიტორული ფირმის მიერ გაცემულია პირობითი აუდიტორული დასკვნა, რომელიც არ არის მომზადებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ არ არის აღნიშნული „პირობითი მოსაზრების საფუძვლები“. ძირითად გამოვლენილია ზოგადი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები, რაზეც მიცემულია ზოგადი რეკომენდაციები.

⁵⁵ მუხლი 6.

⁵⁶ ა(ა)იპ-ის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულ საკითხს სწავლობს სამხარეო პროკურატურა.

⁵⁷ აუდიტი შემოწმება ჩატარებულია 2013 წელს-შპს „ამერ აუდიტი 2008“ მიერ (2013 წელის 13 დეკემბერის ხელშეკრულება №175), გადახდილია 4.8 ათასი ლარი; 2013 წლის აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 ივნისამდე პერიოდში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:
გიორგი ჩახვაძე

ხელმოწერა

10.07.2014წ

თარიღი

აუდიტორი:
ირმა ხეცურიანი

ხელმოწერა

11.07.2014წ

თარიღი

აუდიტორი:
ზურაბ ტუსკაძე

ხელმოწერა

10.07.2014წ

თარიღი

აუდიტორი:
თეა არველაძე

ხელმოწერა

12.07.2014წ

თარიღი

აუდიტორი-სისტენტი:
ირაკლი კობხრიძე

ხელმოწერა

11.07.2014წ

თარიღი

აუდიტორი-ასისტენტი:
ნატალია საღარეიშვილი

ხელმოწერა

11.07.2014წ

თარიღი